მუნიციპალიტეტის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №7(117) 2016 წ. 1-15 აპრილი ფასი 50 თეთრი

დიდმარხვა

ბევრი ეკლესია დაუქმდა წელს, დიდმარხვაში და ბევრი ზარი დადუმდა, რომ აღარც სამწუხრო, სადიდმარხვო ხმას გამოსცემს და აღარც სამხიარულოს, - სდუმს, როგორც მკვდარი სამარეში. "ტარასტა" ვეღარ ბედავს ზარის თოკს ხელი მიაკაროს და ჩამოჰკრას. ვისთვის? რისთვის? მოძღვარი კი აღარსადა სჩანს და! ... დიაკვნებს დარჩათ დღეს ბურთი და მოედანი; კიდეც უხარიანთ, რომ იმათი მღვდლები საბნელოდან გამოიცქირებიან. აძლევენ, სადაც ჯერ არს "პროშენიეს" "პროშენიეზე" და ეფიცებიან მთავრობას, რომ მხოლოდ ისინი არიან ერთგულნი მთავრობისა, პირნი "კეთილსაიმედონი", "ამამაღლებელნი" ერისა გონებრივ და ზნეობრივ, და რომ ისინი აკურთხოს არქიერმა მღვდლებად, თხა და მგელი ერთად მოსძოვს და დამყარდება კაცთა შორის სათნოება და სიყვარული. ასე ყოფილა და იქნება მუდამ. "ბედაურები დაიხოცნენ, ვირებს დარჩათ მოედანიო", ნათქვამია და არც ტყუილად. დიაკვნები იმედოვნებენ, რომ მათი თხოვნა უსათუოდ შეწყნარებული იქნება, დრო იგდეს ხელთ, დრო! განა არ მოგეხსენებათ: "ჟამიჟამსა, თორემ ჟამი სულ მუდამაც იწირვისო", "დააკარ პური, ვიდრე თორნე ცხელიაო..." ბედნიერია ის დიაკვანი, რომლის მღვდელი საბნელოში მოჰყვა, ხოლო სთვლის თავს უბედურად იგი, ვისიც საბნელოს გარეთ დარჩა.

სინანული? ცოდვილთათვის არ არსებობს იგი; შავი ძალებისათვის ღმერთს არ გაუჩენია სინანული. დღეს სინანულში ჩავარდნილან მართალნი, ქვეყნის ერთგულნი, ენანებათ დღესდღეობით დაჩაგრული სიმართლე; სწყინთ რომ ვერ მოუპოვეს მას გამარჯვება, დღეს ესენი არიან ნამდვილნი მარხულნი, რადგან სულით მარხულობა ბევრით აღემატება ჭკუით მარხულობას.

მართალნო, ქვეყნის ერთგულნო! ნუ დაივიწყებთ თქვენს ღმერთს, ილოცეთ იგი! შეინანეთ ის შეცდომანი, რამაც ხელი შეგიშალათ, და ეცადეთ მომავალში აიცდინოთ თავიდან. დაჰგმეთ ის პარტიული თავმოყვარეობა, წვრილფეხა, მჩატე პატივმოყვარეობა, რომელმაც შეუშალა ხელი ჩვენს ერთობას, ერის მისწრაფებას: მოიგონეთ ის, ნოეს დროის, ცხრა შვილის პატრონი მეფე, რომელმაც ცხრა, ერთ კონად შეკრული ისარი დაუტოვა შვილებს ერთობის სიმბოლოდ. ხომ გახსოვთ, რომ ერთად მუხლზე მოდებით ვერავინ ვერ შესძლო ისრის კონა გაეტეხა, ხოლო სათითაოდ კი ყველამ შესძლო ისრების დამსხვრევა?

ზოგჯერ დამარცხება გამარჯვებას სჯობია, რადგან ყველასთვის აშკარად გამოჩნდება დამარცხების მიზეზი, ყველა გაიგებს, ყველა შეიგნებს და სამერმისოდ აღარ გაიმეორებს იმ შეცდომებს და უკეთეს ბრძოლის და შრომის საშუალებას მოაპოვებინებს...

გაითვალისწინეთ ყველამ თვითოეული თავის სიტყვა, გადადგმული ნაბიჯი, ასწონდასწონეთ. უვარგისი დაიწუნეთ საჯაროდ, ნუ შეგრცხვებათ. სირცხვილი და ცოდვა ის არის, როცა ადამიანი ჭირსა ჰმალავს. გამომჟღავნება თავის შეცდომისა და ცოდვებისა იგივე გმირობაა. ხოლო ნუ შეინანებთ ნურავინ დახოცილ ნათესავთ, მით უმეტეს საქვეყნოდ. უმსხვერპლოდ არსად რა გაკეთებულა, არც გაკეთდება, ნუ შეინანებთ დანგრეულს და გადამწვარს სახლკარს, რადგან სინანულით არც მკვდრები აღსდგებიან და არც სახლი და კარი განახლდება...

ღმერთმა დაგიფაროთ, ამას ამბობდეთ: ჩემთვის ჭკვიანად რომ ვყოფილიყავ, ხომ არც ეს უბედურება დამემართებოდაო. ეს მადლისა მატლად ქცევა გამოვა, - მადლში ცოდვის შერევა, მისი გაბათილება. რა დაგვრჩენია ბოლოს? რა ვსთქვათ? რა ვიფიქროთ?

დიდო-მარხვაო! დიდად მარხულნი ვართ, ჩვენი განა მარტო თვალები? გული და გონებაც ცრემლის მორევში დასცურავს. ვლოცულობთ და ვევედრებით ღმერთს გვექმნას მწედ და მფარველად, მოგვცეს ჩვენც, ჩვენის ქვეყნის შვილთ, ძალი და ღონე მოვუაროთ, ვუპატრონოთ თავის თავს, თავის ქვეყანას, რათა ვძლიოთ ეშმაკს და მოვიპოვოთ ცხოვრება საუკუნო, მოვესწროთ აღდგომასა მკვდრეთით და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნისასა, ამინ!

„უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა"



ქართული ენა

მსოფლიოში რამდენიმე ათასი ენაა. ამბობენ, ხუთიათასამდეო. უფრო ზუსტად ამ რიცხვის დასახელება შესაძლებელი იქნება მაშინ, როდესაც ყველა ენა ცნობილი და შესწავლილი იქნება.

მსოფლიოში არის ენები, რომლებიც რამდენიმე ხალხს ემსახურებიან. მაგალითად, ინგლისური – ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ესპანური – ესპანეთსა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში და სხვა. მრავალი ენა მხოლოდ ერთი ხალხის ენად ითქმის. ასეთია ქართული ენაც:

ქართული ენა ქართველი ხალხის დედაენაა!

მსოფლიოში არსებულ ენებს აჯგუფებენ საერთო წარმომავლობის მიხედვით. საერთო წარმომავლობა გულისხმობს იმას, რომ ეს ენები ერთი ენის განშტოებაა. საერთო წარმომავლობის ენებს მონათესავე ენებს უწოდებენ. მონათესავე ენები ამა თუ იმ ენის ისტორიული დიალექტებია (ეთნიკურ-ტერიტორიული ნაირსახეობებია), რომელთა შორის ენობრივი განსხვავება დროთა განმავლობაში იმდენად გაიზარდა, რომ დიალექტები დამოუკიდებელ ენებად ჩამოყალიბდა. მაგალითად, ასე მივიღეთ ფრანგული, იტალიური, ესპანური, რუმინული და სხვა მონათესავე ენები. მონათესავე ენათა ერთობას ენათა ოჯახს უწოდებენ. მსოფლიოში ცნობილი ენათა ოჯახებია: ინდოევროპულ ენათა ოჯახი, თურქულ-ალთაურ ენათა ოჯახი, სემიტურ ენათა ოჯახი და სხვა.

რომელი ენის მონათესავეა ქართული ენა?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემას უძველესი დროიდან ცდილობდნენ. ჰეროდოტე (V ს. ძვ. წ.) ქართულ ენას ეგვიპტურთან აკავშირებდა. იყო სხვა მითითებებიც. XVII-XVIII საუკუნეებში ეს საკითხი უფრო აქტიური გახდა. სხვადასხვა დროს სხვადასხვა მეცნიერი გამოთქვამდა თვალსაზრისს ქართული ენის წარმოშობის თაობაზე,. XIX ს-ში ქართულის დაკავშირება სცადეს ევროპულ ენებთან. მიუხედავად იმისა, რომ ევროპელი მეცნიერები (მარი ბროსე, ფრანც ბოპი...) სერიოზულად ცდილობდნენ ამ თვალსაზრისის დასაბუთებას ევროპაშივე გაჩნდა აზრი ქართული ენის განკერძოებულობის შესახებ.

1864 წელს ფრიდრიხ მიულერმა გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელშიც ასაბუთებდა, რომ ქართულ-კავკასიური ენები წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ ენათა დიდი ჯგუფის გადმონაშთს. ეს თვალსაზრისი გაზიარებული იქნა და დღემდე მიიჩნევა სარწმუნო პოზიციად: ***ქართული ენა არ ენათესავება მსოფლიოში ცნობილ ენათა ოჯახებს***. ქართულის მონათესავე ენებია კავკასიის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხების ენები: ქართველური (სვანური, მეგრულ-ლაზური) ენები, აფხაზურ-ადიღეური ენები, ჩაჩნურ-ინგუშური ენები და დაღესტნის ენები. ენათა ამ ჯგუფს მეცნიერებაში ***იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს*** უწოდებენ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერული ტერმინს და არ უდრის გეოგრაფიულ ტერმნის კავკასიის ენები: კავკასიაში მოსახლე ხალხების – სომხების, აზერბაიჯანლების, ოსების – ენები არაა ამ ოჯახის წევრი ენები.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში 30-ზე მეტი ენაა. ეს ენები უმთავრესად კავკასიის ტერიტორიაზე მოსახლეობენ. ამ ენათა ოჯახში ოთხ ჯგუფს გამოყოფენ:

1. ქართველურს (ქართული, სვანური, მეგრული-ლაზური),
2. აფხაზურ-ადიღეურს (აფხაზური, აბაზური, ჩერქეზული, ყაბარდოული),
3. ნახურ ჯგუფს (ჩაჩნური, ინგუშური, ბაცბური),
4. დაღესტნური (ხუნძური, ანდიური, დიდოური, ლაკური, დარგუული...).

დიდი ხანია, მეცნიერებაში წამოყენებულია შეხედულება ქართული ენის გენეზისური კავშირის შესახებ წინააზიისა და შუამდინარეთის ძველი ცივილიზაციის ენებთან – ურარტულთან, ჰურიტულთან, ხეთურთან, ელამურთან, შუმერულთან, პელაზგურთან... ყველა ეს ენა დღეს მკვდარი ენაა.

ქართულ ენას გენეტიკურად უკავშირებენ ბასკურ ენას. ესაა ერთადერთი ენა, სავარაუდოდ, ქართული ენის მონათესავე ენათა შორის, რომელიც არ არის კავკასიაში. ბასკეთი პირინეის ნახევარკუნძულზეა; ორი მესამედი ბასკებისა ცხოვრობს ესპანეთში, ერთი მესამედი – საფრანგეთში.

ბასკურ-ქართული ჰიპოთეზა 20 საუკუნეზე მეტ ხანს ითვლის. ამ ჰიპოთეზამ განსაკუთრებით მეოცე საუკუნეში მოიპოვა პოპულარობა. მრავალი კითხვა იჩენს თავს ამ საკითხის განხილვისას. უპირველესად, ასე დაშორებულ ტერიტორიებზე როგორ მოხვდნენ მონათესავე ენები? არსებობს სხვადასხვგვარი ახსნა. ფაქტი ერთია: აშკარაა მსგავსება ენობრივი თვალსაზრისით; და არა მხოლოდ ენობრივი...

ქართული ენა სალიტერატურო ენაა. უძველესი ლიტერატურული ძეგლები, ამ ენაზე შექმნილნი, V საუკუნით თარიღდება. იაკობ ხუცესის (Vს.) "შუშანიკის წამებიდან" მოყოლებული დღემდე შეგვიძლია თვალი გავადევნოთ სალიტერატურო ქართული ენის განვითარების ისტორიას. 16 საუკუნის მანძილზე ქართული სალიტერატურო ენა იცვლება, იხვეწება, ვითარდება. მან მიაღწია სრულყოფილ დონეს. ქართული ენა დღეს, შეიძლება ითქვას, არის ერთ-ერთი ცივილიზებული, მაღალგანვითარებული სალიტერატურო ენა.

ქართული ენა არის საფუძველი ქართველთა ერთობისა; ქართველთა ძლიერებისა; ქართველთა უკვდავებისა.

ქართული ენა უზრუნველყოფს მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ერთობას.

ქართული ენა არის ქართველეთა "ღვთაებრივი საუნჯე" (ი. ჭავჭავაძე), "უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა" (ი. გოგებაშვილი).

ქართული ენა არის საქართველოს სახელმწიფო ენა. საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში, აფხაზეთში, ქართულთან ერთად აფხაზურიც ითვლება სახელმწიფო ენად.

საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფს ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, განვითარების ხელშეწყობას, მის ფუნქციონირებას, სწავლებას და მეცნიერულ შესწავლას

სხვა. მრავალი ენა მხოლოდ ერთი ხალხის ენად ითქმის. ასეთია ქართული ენაც.

14 აპრილი ქართული ენის დღეა!

რას წერდნენ 115 წლის წინ

ვაჟა-ფშაველა

ენა

(მცირე შენიშვნა)

ამ ბოლო დროს ჩვენს საზოგადოებაში მასლაათის დროს და გაზეთებშიაც შეხვდებით სამდურავს ქართულის ენის შებღალვის გამო. თუ საქმეს ჩავუკვირდებით, ამ სამდურავს საფუძველს ვუპოვით. ყველა ჩვენგანს სწავლა მიუღია უცხო ენის მეოხებით, უცხო ენაზედ დაწერილს წიგნებით გვივარჯიშებია ყველას ჩვენი გონება და უეჭველია, ამ გარემოებას ის შედეგი მოჰყვებოდა, რასაც ვხედავთ. ეს არაა საკვირველი, არამედ ისა, ქართულად ვფიქრობდეთ და ქართულად ისე ვწერდეთ ... მაინც და მაინც როგორც ჭქუხს, ისეც არა სწვიმს. ჩვენი გამოჩენილი და გამოუჩენელი მწერლები ერთობლივ უცხო მწერლობით არიან ნაკვებნი, მაგრამ ყველასათვის ერთნაირად საზარალო არა ყოფილა ეს ამბავი, ზოგისათვის ძალიან ღრმად დაუსვამს დაღი, მეორისათვის ნაკლებად ... ამიტომ არ შეგვიძლიან ყველა ჩვენს მწერლებს ენის უცოდინარობა ვუკიჟინოთ. თუმცა ისეთი მწერლებიც გვეპოვება, რომ ორმოცი წელია ჰმოღვაწეობენ, ორმოცი წელია, რაც სწერენ ქართულად, და დღესაქამომდე ვერ მიუგნიათ ქართულის ენისათვის.

რას ჰქვიან ენის ცოდნა. რასაკვირველია, არა კმარა მხოლოდ სიტყვები ვიცოდეთ, უნდა ისიც გვესმოდეს, თუ როგორ შევუთანხმოთ ეს სიტყვები ერთი მეორეს და წინადადება როგორ ავაშენოთ. ამისთვის საჭირო ენის სულის და გულის შეგნება: ამ შეგნებისათვის კი საჭიროა ენის სულისა და გულის შეგნება; ამ შეგნებისათვის კი საჭიროა ის ღირსება და მადლი, რომ ***თვით მწერალს უცემდეს ქართულად გული და მაჯა***. ამისთანეები სიტყვაკაზმულ ნაწარმოების ავტორთა შორის უნდა ვეძიოთ. უსათუოდ საუკეთესო მგოსანი ენის მცოდნელადაც უნდა მივიღოთ, რისთვის? მისთვის, რომ ერი უპირველეს ყოვლისა დედაა ენისა, ხოლო საუკეთესო მგოსანი, როგორც თვით ენა, ღვიძლი შვილია მისივე და რა ვინაც არ არის თავისს მშობელთან ისე დაახლოვებული, როგორც ის, ვისაც შეუთავსებია მშობლის სისხლი და ხორცი. მწერლის ნიჭის მიხედვით რომ ვაფასებდეთ მის ენას, მაშინ ყველა ჩვენგანი არ წამოაყენებდა საკუთარს ენას მისაბაძავ საგნად.

თქვენს უმორჩილესს მონას, ამ წერილის ავტორს, ხშირად გამიგონია ზოგიერთის ჩვენის მწერლისგან სამდურავი – დაძველებული, უვარგისი ფორმები ნუ შემოგაქვს მწერლობაშიო. რაც დაძველდა, აღარ ვარგა, ის უნდა გავიტანოთ და სანაგვეზედ გადავაგდოთო, ყველას თავისი გემოვნება აქვს, საკუთარი ფიქრი და აზრი და მეც ჩემი, რასაკვირველია. ამისთანა სამდურავი, რა თქმა უნდა, უმეცრების ბრალია და, ხომ მოგეხსენებათ, უმეცრებასავით თამამი არა იქნება რა. არა მგონია შეედრებოდეს ერთი საგანი მეორეს ისე, როგორც მდინარე და ენა. რითი ჰგავს ენა მდინარეს? იმით, რომ რაც ერთხელ მდინარეს გემო და თვისება მიუღია, თუ ხელოვნურად არ მოსტაცე, არ წაართვი, იგი თავისთავად არასოდეს არ დაჰკარგავს; მიმდინარეობს იმ ჟამით ამ ჟამამდე დაუდგრომლად, მისი შეჩერება, დაგუბება, ცოტა ხნობით თუ შეიძლება. ხოლო სამუდამოდ კი არასოდეს...

დიაღ, მოდის ენაც მდინარესავით, მაგრამ თუ სათავეში, ე.ი. იქ საიდანაც იბადება, არ დაშრა, ქვეით, ბოლოდგან მისი დაშრეტა ყოვლად შეუძლებელია და ძალაც მისი სწორედ რომ სათავეშია; გამომდინარეობს ულეველად, უკლებლად; საიდგან და როგორ იკრებს ამ ძალას, ჩვენთვის სულ ერთია. ენის საქმეც სწორედ ასეა. ქართული ენა გუშინ მოგონილი ხომ არ არის! იგი ძალიან დიდი ხნისაა, უკვე დამთავრებული, დახარებული ვაუკაცია. რაც ხასიათი და თვისება დაჰყოლია, იგივე შეჰრჩება საზოგადოდ, საუკუნოდ. თუ ზოგიერთების ხელში იგი თავისს ხასიათს ვერ იჩენს, ეს იმათი ბრალია, ვინც მას ამღვრევს უწმინდურებისა და ნაგავ-ნუგავის ჩაყრით, ვისაც ჰსურს ამ მდინარის წყალი იგემოს და დააფასოს იგი, ბოლოში, სადაც მღვრიე მოდის, კი არ ამოჰკრეფს, არამედ სათავეს მიჰმართავს. სათავე ენისა, ვგონებ, ყველამ კარგად იცის, სად არის, ან რა არის ... ეს სათავე ენისა გახლავთ ძველთა ნიჭიერ მწერალთა ნაწარმოებნი, ის ქართული თემები, სადაც დღევანდლამდე შენახულა შეუბღალავად, უმწიკვლოდ ქართული ენა. სხვებს რომ თავი დავანებოთ, ნიჭიერ მწერლებად და ენის მაგალითად ჩვენთვის მხოლოდ ორი მწერალი კმარა – შოთა რუსთაველი და დავით გურამიშვილი, გაურყვნელის ენით მოსაუბრედ კიდევ მთიელნი, რომლებთანაც მე მაქვს დამოკიდებულება, და ამ გაკიცხულს ფორმებსაც იმათგან ვიძენ, ნუ გგონიათ ფორმებს ვთხზავდე, ღმერთმა დამიფაროს! რა არის აქ საწყინო? შემოტანა მრავლის ფორმებისა, თუ კი სადმე მოგვეპოვება, კაი ნიშანი მგონია, ხოლო ფორმების გატანა და შემცირება – ერის გალახვად, შეურაცხყოფად, დამცირებად მიმაჩნია.

1901 წ.

სოფლის მეურნეობა

პროექტი „დანერგე მომავალი“

გაუბედავი ნაბიჯებით დიდი ინჯერესით

სწორედ ასე შეიძლება შეფასდეს ჩვენი მუნიციპალიტეტის მთელი რიგი სოფლების მოსახლეობის შთაბეჭდილებები საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტის “დანერგე მომავალი” გაცნობის შემდეგ.

მარტის ბოლო დღეებში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა ნიკო ჯავახიშვილმა და ამავე სამსახურის მთავარმა სპეციალისტებმა გივი მათიაშვილმა და აკაკი დეკანოზიშვილმა სოფლების პატარა ჩაილურის, დიდი ჩაილურის და იორმუღანლოს, ლამბალოს, დუზაგრამის, თულარის თემების მოსახლეობას აღნიშნული პროექტი გააცნეს. ინტერესი მართლაც დიდი აღმოჩნდა, რადგან პროექტის მთავარი მიზანი და ამოცანები საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენების ეფექტის ამაღლებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტჩანაცვლების ხელშეწყობას, საექსპორტო პოტენციალის გაზრდას, სანერგე მეურნეობის შექმნისა და მრავალწლიანი ბაღების გაშენების სტიმულირებას ითვალისწინებს ფინანსური და ტექნიკური დახმარების საშუალებით.

ამიტომაცაა, რომ პროექტი არ ხორციელდება დიდ ქალაქებში: თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ბათუმსა და ფოთში, რადგან პროექტი ითვალისწინებს ბაღების გაშენებას და სანერგე მეურნეობების შექმნას, სადაც სოფლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დასაქმდება. საინტერესოა ისიც, რომ ბენეფიციარები პროექტში ჩართვის შემთხვევაში მიიღებენ ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას, როგორც მრავალწლიანი კულტურების ახალი ბაღების გასაშენებლად, ასევე თანამედროვე სანერგე მეურნეობების შესაქმნელად.

როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო – საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა ნიკო ჯავახიშვილმა და ამავე სამსახურის მთავარმა სპეციალისტებმა მოსახლეობასთან შეხვედრისას აღნიშნეს, მრავალწლიანი კულტურების ახალი ბაღების გაშენების მიზნით საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები, მათ შორის კოოპერატივებიც და საქართველოს მოქალაქე – ფიზიკური პირები მიიღებენ ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას. აქვე აღნიშნეს, რომ პროექტის ფარგლებში ჩვენს რეგიონსა და მუნიციპალიტეტებში შეიძლება დაფინანსდეს მხოლოდ შემდეგი მრავალწლიანი კულტურების: ატმის, ქლიავის, ტყემლის, ბლის, გარგრის, ჟოლოს, ხურმის, ბროწეულის, კაკლის, ნუშის, თხილის, ვაშლის, მაყვლის, ზეთისხილის, მსხლის, ალუბლის ბაღების გაშენება. ამასთან, მათ მოსახლეობას გააცნეს ის ხარჯები, რომლებიც დაფინანსდება ფინანსური დახმარებით. ესენია: შესასყიდი ნერგების ღირებულების 70 %; რაც შეეხება ნერგების იმპორტის შემთხვევას, ასეთ დროს თითოეულ ნერგზე თანხობრივი მაქსიმალური ლიმიტი გაიზრდება არაუმეტეს 20 %-ით; ასევე, დაფინანსდება წვეთოვანი სარწყავი სისტემის ღირებულების 50% (ოღონდ არაუმეტეს 2500 ლარისა 1 ჰექტარზე); ამასთან, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები დამატებით მიიღებენ საწამლ აპარატებს საჩუქრად. აქვე აღინიშნა, რომ 1 ჰა-ზე თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა 10 ათასი ლარი იქნება, ხოლო გასაშენებელი ბაღის მაქსიმალური ფართობი 20 ჰა შეიძლება იყოს. თანადაფინანსების მოცულობა ერთი ბენეფიციარის შემთხვევაში - 100 ათასი ლარი იქნება.

შეხვედრაზე მოსულებმა განსაკუთრებული ყურადღება და ინტერესი გამოიჩინეს პროექტში ჩართვისათვის აუცილებელ კრიტერიუმებზე. როგორც მათ განუმარტეს ბენეფიციარს საკუთრებაში უნდა ჰქონდეს, ან გრძელვადიანი იჯარით სახელმწიფოდან უნდა ჰქონდეს აღებული მიწის ნაკვეთი, რომლის ფართობიც 1 ჰა-ზე ნაკლებს არ უნდა წარმოადგენდეს; ამასთან, მას არავითარი დავალიანება არ უნდა ჰქონდეს შემოსავლების სამსახურის მიმართ. ბენეფიციარს საკუთარი თანამონაწილეობის თანხა უნდა ჰქონდეს ნერგების ღირებულების არანაკლებ 30 %-ისა და სარწყავი სისტემების ღირებულების არანაკლებ 50%-ისა; მიწის ნაკვეთი არ უნდა იყოს დაყადაღებული; ბაღის გასაშენებლად გამოყოფილი მიწის ნაკვეთი დამუშავებული უნდა ჰქონდეს და მუდმივი სარწყავი წყლის წყაროთი უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

შეხვედრაზე მოსულ დაინტერესებულ პირებს ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაღების თანადაფინანსების რამდენიმე მაგალითი გააცნეს, კონკრეტულად, საგარეჯოში, მდინარე ივრის მარჯვენა სანაპიროზე გაშენებული თხილის ახალი პლანტაციების მაგალითი განიხილეს, სადაც ახალგაზრდებმა უკვე შეძლეს თანადაფინანსებით თხილის ნერგების შემოტანა და შემოდგომაზე გაშენება.

სოფლების პატარა და დიდი ჩაილურის მოსახლეობას კარგი გამოცდილება აქვთ სანერგე მეურნეობაში მუშაობის. 2 ათეული წლის წინ, აქ წლების განმავლობაში საკმაოდ წარმატებულად ფუნქციონირებდა ვაზის სანერგე მეურნეობა, სადაც დასაქმებული იყო ახალგაზრდა კონტიგენტი. ამიტომაც იყო ინტერესი და შეკითხვები სანერგე მეურნეობის თანადაფინანსების ირგვლივ. როგორც დაინტერესებულ პირებს განუმარტეს, სანერგე მეურნეობის შექმნის მიზნით ფინანსური დახმარება შემდეგ პირობებს ითვალისწინებს: თანადაფინანსება განხორციელდება ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი სანერგე მეურნეობის შექმნის დეტალური პროექტის საფუძველზე, თანადაფინანსების მოცულობის განსაზღვრება მოხდება პროექტის ჯამური ღირებულების 50%-ისა (ეს კი ნიშნავს – არაუმეტეს 150 ათას ლარს). მაგრამ, თანადაფინანსების სახსრების გახარჯვა შესაძლებელია მხოლოდ მიზნობრივად, რომელიც ითვალისწინებს: უვირუსო სადედე ნერგების შეძენას, ინტენსიური ტიპის უვირუსო საძირეების შეძენას, პორტატული ლაბორატიული მოწყობილობების შეძენას; თანამედროვე ტიპის სარწყავი სისტემის მოწყობას.

შეხვედრის მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს ტექნიკური დახმარების შესაძლებლობა – ბენეფიციარებს ტრენინგები ჩაუტარდებათ სარგავი მასალის გამრავლების ტექნოლოგიებსა და სარგავი მასალის სერტიფიცირების პრინციპებზე. მათ განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს, ასევე კოოპერატივის შექმნის, მისი თანადაფინანსების საკითხების ირგვლივ, რაზედაც დაწვრილებითი ინფორმაცია მიეწოდათ. ყველამ მოიწონა პროექტი, მაგრამ აქ, შეხვედრის მონაწილეებმა, ორივე სოფლის - დიდი და პატარა ჩაილურების, ლამბალოს, იორმუღანლოს, დუზაგრამისა და თულარის მოსახლეობის წარმომადგენლებმა თავიანთი თანასოფლელებისათვის ხელისშემშლელი მიზეზი დაასახელეს – მათგან უმეტესობას არ აქვს თუნდაც ის ერთი ჰექტარი მიწა, რომლის ფლობაც ერთ-ერთი უპირველესი პირობაა პროექტში ჩასართველად. თუმცა, აქვე აღმოჩნდნენ დაინტერესებული პირებიც, რომლებსაც კონსულტაციებს ჩვენი მუნიციპალიტეტის საინფორმაციო – საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლები უშუალოდ თავიანთ სამსახურში გაუწევენ.

ვაზის მოვლის აგროტექნიკა

კალენდარი

იანვარი

ვაზის სარემონტო სამუშაოების ჩატარება. შპალერის გაჭიმვა, შტამბის გასუფთავება, ვენახიდან ანარჩენების გატანა.

თებერვალი

ნიადაგის გამოკვება მინერალური სასუქებით.

მარტი

დარჩენილი ვენახის გასხვლა.გასაბამის გაკეთება, ნიადაგის დამუშავება.

აპრილი

15 აპრილიდან- კვირტის ჭიის, ტკიპების, ხვატარების წინაარმდეგ: ინსექტიციდები.

მაისი

15 მაისიდან 4-5 მოზრდილი ფოთლის ფაზაში.

ვაზის ჭრაქის წინააღმდეგ: კონტაქტური ფუნგიციდი.

სარეველა ბალახების წინააღმდეგ: ჰერბიციდი.

21 მაისიდან – მწვანე ოპერაციები: ნამხრევისა და ზედმეტი ყლორტების შეცლა.

23 მაისიდან – ვაზის ჭრაქის წინააღმდეგ: კონტაქტური ფუნგიციდი.

ფოთლით კვება: წყალში ხსნადი სასუქები.

ივნისი

1 ივნისიდან – ვაზის ჭრაქის წინააღმდეგ: სისტემური ფუნგიციდი.

7 ივნისი – მწვანე ოტერაციების გამეორება.

9 ივნისი – თანაყვავილედის განვითარება.

ვაზის ჭრაქის წინააღმდეგ: სისტემური ფუნგიციდი.

ნაცრის წინააღმდეგ: ნაცრის საწინააღმდეგო სისტემური ფუნგიციდი.

ფოთლით კვება: წყალში ხსნადი სასუქები.

17 ივნისიდან – ყვავილობის დასაწყისი

ვაზის ჭრაქის წინააღმდეგ: სისტემური ფუნგიციდი.

ნაცრის წინააღმდეგ: ნაცრის საწინააღმდეგო სისტემური ფუნგიციდი.

25 ივნისიდან – მწვანე ოპერაციები(ყლორტების ახვევა, ნამხრევის შეცლა, მტევნის ქვეშ ფოთლების შეცლა)

27 ივნისიდან – ყვავილობის დასასრული:

ჭრაქის წინააღმდეგ: სისტემური ფუნგიციდი.

ნაცრის წინააღმდეგ: ნაცრის საწინააღმდეგო სისტემური ფუნგიციდი.

სარეველა ბალახების წინააღმდეგ: ჰერბიციდი.

ივლისი

5 ივლისიდან – ისრიმობის დასაწყისი.

ჭრაქის წინააღმდეგ: კონტაქტური ფუნგიციდი

ნაცრის წინააღმდეგ: ნაცრის საწინააღმდეგო კონტაქტური ფუნგიციდი.

ფოთლით კვება: წყალში ხსნადი სასუქები.

8 ივლისი – ცის გახსნა.

13 ივლისი – მარცვლის დამსხვილება.

ჭრაქის წინააღმდეგ: კონტაქტური ფუნგიციდი.

ნაცრის წინააღმდეგ: ნაცრის საწინააღმდეგო კონტაქტური ფუნგიციდი.

ყურძნის ჭიის მეორე თაობის წინააღმდეგ: ინსექტიციდი.

ფოთლით კვება: წყალში ხსნადი სასუქი.

21 ივლისიდან – მტევნის შეკვრა.

ჭრაქის წინააღმდეგ: სპილენძშემცველი ფუნგიციდი.

ნაცრის წინააღმდეგ: ნაცრის საწინააღმდეგო კონტაქტური ფუნგიციდი.

სიდამპლის წინააღმდეგ: სიდამპლის საწინააღმდეგო კონტაქტური ფუნგიციდი.

29 ივლისიდან – შეთვალება.

ჭრაქის წინააღმდეგ: სპილენძშემცველი ფუნგიციდი.

ნაცრის წინააღმდეგ: ნაცრის საწინააღმდეგო კონტაქტური ფუნგიციდი.

სიდამპლის წინააღმდეგ: სიდამპლის საწინააღმდეგო კონტაქტური ფუნგიციდი.

აგვისტო

სექტემბერი

ოქტომბერი

რთველი – 1დან -15 ოქტომბრამდე.

ნოემბერი

დეკემბერი

ვაზის გასხვლა-ფორმირება, ორგანული სასუქების შეტანა, ნიადაგის ღრმა დამუშავება.

ძიუ-დო

ფალავნები – ფალავანთა აღმზრდელები

მწვრთნელები

ჭიდაობის გარეჯული სკოლის სახელი ცნობილია არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს მასშტაბით. დედამიწის ზურგზე ალბათ ისეთი ქვეყანა არაა დარჩენილი, რომლის სპორტსმენებთანაც გარეჯელ ფალავნებს თავიანთი მკლავის ძალა არ ეცადოთ და გამარჯვებით ჩვენი ქვეყნის სახელი ცნობილი არ გაეხადოს. ეს ალბათ გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან ლეგენდარული მიხა ქურხულის, არსენ მეკოკიშვილის, ლევან თედიაშვილისა და სხვათა და სხვათა ჭიდაობის სიყვარული შემდეგ თაობებსაც გადაეცემა.

ჩვენ, ჩვენდა საბედნიეროდ, გვყავს სახელოვანი ფალავნების არანაკლებ სახელოვანი აღმზრდელები და მწვრთნელები, რუდუნებით რომ იღვწიან ჩვენი მომავალი თაობებისათვის ჭიდაობის თავიანთი მდიდარი ცოდნის, გამოცდილების გადასაცემად. მათ შორის არიან აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ძიუდოს სექციის მწვრთნელები **მამუკა მათიაშვილი, ნუკრი გაგნიაშვილი და გადრი ბასილაშვილი,** ვისი სპორტული და სამწვრთნელო საქმიანობა უკვე დიდი ხანია საქვეყნოდაა ცნობილი და სათანადო დაფასებასაც იმსახურებს.

მამუკა მათიაშვილი



1977 წელს დაბადებულმა დიდი არსენ მეკოკიშვილის თანასოფლელმა საგარეჯოს არსენ მეკოკიშვილის სახელობის დარბაზის მთავარმა მწვრთნელმა მამუკა მათიაშვილმა პირველად ცხრა წლის ასაკში შეაბიჯა ძიუდოს „სამყაროში“, რომელსაც აგერ უკვე 30 წელია ერთგულად და სიყვარულით ემსახურება. როგორც ახლა თვითონ იხსენებს, გიორგი დიღმელაშვილის აღსაზრდელს პირველ ორ რაიონული მასშტაბის შეჯიბრებაში არ გაუმართლა, თუმცა ამას გული არ გაუტეხია მისთვის და მესამე „ცდაზე“ უკვე ბრინჯაოს პრიზიორობას მიაღწია. მას მალე რაიონის ჩემპიონის ტიტული, შემდეგ კი სამბოსა და ძიუ-დოში საქართველოს ჩემპიონის წოდებები (ჭაბუკებში) მოჰყვა. XI კლასში კი უკვე საქართველოს ბრინჯაოს პრიზიორი გახდა დიდებში (ძიუდოში).

1988 წელს მონაწილეობდა საკავშირო ტურნირში 1972 წლიან ძიუდოისტებში და ასაკის ასეთი სხვაობის მიუხედავად, მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

1996 წელი. პორტუგალიაში ახალგაზრდების მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხის გაბზარული კოჭით ორი შეხვედრის მომგებს, მესამეში „ხანტეით“ მსაჯებმა ჩემპიონობა დაათმობინეს და მხოლოდ ბრინჯაო ერგო წილად.

1998 წელს დაყენებული იყო ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე, მაგრამ კისერზე გამონაყარის გამო შეჯიბრებაზე არ დაუშვეს და სწორედ მაშინ დარჩა ესპანეთში. ჭიდაობდა ბელგიისა და ჰოლანდიის ძიუდოს კლუბებში, ორჯერ ჰოლანდიის ჩემპიონიც გახდა ახალგაზრდებში.

აღნიშნული ტიტულებისა და რამდენიმეგზის საქართველოს ჩემპიონისათვის სიამაყით გასახსენებელია, რომ თბილისის ტურნირებზე 1997-1999 წლებში მისთვის 60-66 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეებში ანგარიშგასაწევ ძალად მხოლოდ ნესტორ ხერგიანი მოიაზრებოდა. მას ასევე დამარცხებული ჰყავს შემდეგში ოლიმპიური პრიზიორი და მსოფლიო ჩემპიონი დიდებში რობენ ჰოლმსი, ცნობილი ჰოლანდიელი ძიუდოისტი დიქს ელმონტი და სხვები.

2006 წლიდან ევროპის ძიუდოს სხვადასხვა კლუბებში ასპარეზობებს თავს ანებებს და მშობლიურ საგარეჯოს მწვრთნელის სახით უბრუნდება, სადაც მოღვაწეობა აქტიურ სპორტულ საქმიანობაზე არანაკლებ წარმატებული გამოდგა მისთვის, რისთვისაც იგი წარდგენილია დამსახურებული მწვრთნელის წოდებაზე და მიენიჭება საერთაშორისო მწვრთნელის წოდება.

ნუკრი გაგნიაშვილი

გარეჯელი ფალავნების აღზრდა-დაფრთიანების საქმეში მამუკა მათიაშვილს ერთგულად უდგას მხარში მწვრთნელი ნუკრი გაგნიაშვილი. ეს სახელი დიდი ხანია კარგადაა ცნობილი ჭიდაობის გარეჯული თაყვანისმცემლებისა და სპორტული წრეებისათვის, რადგან იგი გარეჯულ სპორტთან და ჭიდაობასთან ასოცირდება.

1972 წელს დაბადებულმა 11 წლის ასაკში დაიწყო ვარჯიში სამბოში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის როინ ყორღანაშვილის ხელმძღვანელობით. პირველ დიდ წარმატებას ერევანში მოწყობილ საერთაშორისო ტურნირზე მიაღწია, სადაც თავის წონით კატეგორიაში შეძლო III საპრიზო ადგილის დაკავება. არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი სამბოში, ძიუდოსა და ქართულ ჭიდაობაში. ყოფილი სსრკ-ს ორგზის ჩემპიონი სამბოში და ერთხელ ძიუდოში. ევროპის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი (სამბო), ერთგზის ვერცხლის პრიზიორი დიდებში, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში.

1996 წელს დაამთავრა თბილისის სპორტის აკადემია. სპორტგაერთიანების ძიუდოს მწვრთნელია 2007 წლიდან.

ლევან ბასილაშვილი

დაიბადა 1963 წელს, გიორგიწმინდაში. ჭიდაობის შესწავლა დაიწყო 1976 წელს, „ძიუდოს საგარეჯოელი პაპის“ ბიჭიკო მარიდაშვილის ხელმძღვანელობით. არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში, სამბოსა და ძიუდოში. არის სსრკ ხალხთა სპარტაკიადის გამარჯვებული. ძიუდოს მწვრთნელად მუშაობს 2012 წლიდან.

აღსაზრდელები

ამ წარმატებულ სპორტსმენთა აღზრდილები არიან ჩვენი არანაკლებ წარმატებული და აღიარებული მოჭიდავეები: თამაზ კირაკოზაშვილი, კობა მჭედლიშვილი, ირაკლი კუპატაძე, ზაზა როსტომაშვილი, ძმები მამარდაშვილები, ამირან დარბაისელი, ბექა ტერტერაშვილი, ვანო მამისაშვილი, სოლომონ თედიაშვილი და სხვები. ვინ ჩამოთვლის მათ მიერ ქვეყნისა თუ საზღვარგარეთის ტატამებზე მოპოვებულ წარმატებებს, მიღწევებს, რომლითაც ბევრჯერ აუწქროლებიათ სიამაყით გული თავიანთი ამაგდარი მწვრთნელებისათვის. საგარეჯოელმა ძიუდოისტებმა წარმატებით დაიწყეს 2016 წელიც. საქართველოს ჩემპიონატზე დიდებსა და ახალგაზრდებში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა კობა მჭედლიშვილმა. 13-14 თებერვალს თბილისის ძიუდოს აკადემიაში ჩატარებულ 1999-2000 წლიან ჭაბუკებში საქართველოს პირველობაში ქვეყნის ჩემპიონი გახდა ამირან დარბაისელი (55კგ). 60 კგ წონით კატეგორიაში კი გუგა მღებრიშვილმა და ნიკა ბასილაშვილმა მესამე ადგილები დაიკავეს. საგარეჯოელი ძიუდოისტები ანტალიის საერთაშორისო ტურნირზეც იმყოფებოდნენ. გვინდა ჩვენს ერთგულ მ კითხველს და გარეჯული ჭიდაობის გულშემატკივრებს კიდევ ერთხელ შევახსენოთ ის წარმატებები, რაც ჩვენი ნიჭიერი მწვრთნელების არანაკლებ ნიჭიერმა აღზრდილმა თუ აღსაზრდელებმა სხვადასხვა შეჯიბრებებზე მოიპოვეს.

კობა მჭედლიშვილი, ძიუდოისტი. დაბადებულია 1996 წელს, კაკაბეთში. სპორტის აკადემიის სტუდენტი. მიმდინარე წელს საქართველოს ჩემპიონატის III პრიზიორი ძიუდოში. ევროპის ჩემპიონი ჭაბუკებში. ანტალიისა და კიევის ევროპის თასების გათამაშებების ვერცხლის მედლების მფლობელი, ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკებში. მსოფლიო ჩემპიონატის III პრიზიორი ახალგაზრდებში, ევროპის ჩემპიონატის გუნდური შეჯიბრების III პრიზიორი, მსოფლიო ჩემპიონატის (გუნდური) II პრიზიორი. კიევისა და საბერძნეთის ევროპის თასების ჩემპიონი, სამბოში ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ჭაბუკებში.

თამაზ კირაკოზაშვილი – დაბადებული 1996 წელს დიდ ჩაილურში. ანტალიის ევროპის თასის ჩემპიონი. კიევის ევროპის თასის გამარჯვებული; ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, ევროპის ოლიმპიადის III პრიზიორი; კიევის ევროპის თასის II პრიზიორი, ჰოლანდიის ევროპის ოლიმპიადის II პრიზიორი, ევროპის ჩემპიონატის III პრიზიორი, მსოფლიო ჩემპიონატის (მაიამი) III პრიზიორი, გერმანიის ევროპის თასის II პრიზიორი, მსოფლიო ოლიმპიური თამაშების (ახალგაზრდებში შერჩევით) II პრიზიორი, 2015 წლის ახალგაზრდობის მსოფლიო ჩემპიონატის II პრიზიორი, ევროპის ჩემპიონატის (გუნდური) III პრიზიორი ახალგაზრდებში. მსოფლიო ჩემპიონატის (გუნდური) პრიზიორი ახალგაზრდებში.

ირაკლი კუპატაძე, სამბისტი – დაბადებული 1996 წელს, მანავში. სპორტის აკადემიის სტუდენტი. ძირითადად მისდევს სამბოს, თუმცა არანაკლები წარმატებები აქვს (ძიუ-დოში). საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქართულში, სამბოსა და ძიუდოში. პირველი დიდი წარმატება მისთვის გახლდათ მსოფლიოს III და II ადგილები ჭაბუკებში. არის ევროპისა სამგზის ჩემპიონი ახალგაზრდებში და მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკებში, დიდებში – მსოფლიო თასის III პრიზიორი. 2015 წლის ევროპის ჩემპიონი სამბოში ახალგაზრდებს შორის, მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებში. ძიუდოში 2015 წლის მსოფლიო ჩემპიონატის III პრიზიორი (ახალგაზრდებში). მიმდინარე წლის საქართველოს ჩემპიონი სამბოში და III პრიზიორი ძიუდოში (დიდებში).

ზაურ მამარდაშვილი – საგარეჯოელი, დაბადებული 1994 წელს. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი ძიუდოსა და სამბოში. ანტალიის ევროპის თასის ბრინჯაოს პრიზიორი ძიუდოში ჭაბუკებში, ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში; ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონატის III პრიზიორი; საბერძნეთის ევროპის თასის გათამაშების III პრიზიორი; საქართველოს 2016 წლის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი უფროს ასაკში.

სიმონ მამარდაშვილი – დაბადებული 1997 წელს, საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში, სამბოსა და ძიუდოში. ანტალიის ევროპის თასის III პრიზიორი; კიევის ევროპის თასის III პრიზიორი; ევროპის ოლიმპიადის III პრიზიორი; ერევნის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი; მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების მონაწილე ძიუდოსა და სამბოში.

ვანო მამისაშვილი. საგარეჯოელია, დაბადებულია 1995 წელს, საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი. საქართველოს ჩემპიონი ძიუდოსა და სამბოში. ანტალიის ევროპის თასის გათამაშების III პრიზიორი. ევროპის ჩემპიონი სამბოში ჭაბუკებს შორის.

ბექა ტერტერაშვილი. დაიბადა 1997 წელს მანავში. სწავლობს საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში. არის საქართველოს ჩემპიონი და პრიზიორი სამბოში. ევროპის II პრიზიორი ჭაბუკებში.

ზაზა როსტომაშვილი, დაბადებულია 1994 წელს, საგარეჯოში. საქართველოს ჩემპიონი და პრიზიორი ძიუდოსა და სამბოში, ანტალიის ევროპის თასისი II პრიზიორი, ევროპის ჩემპიონატის II პრიზიორი.

სოლომონ თედიაშვილი, დაბადებულია 1995 წელს საგარეჯოში. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ძიუდოსა და სამბოში, ევროპის ჩემპიონატის III პრიზიორი ჭაბუკებში ჭიდაობა სამბოში. საქართველოს ჩემპიონი და პრიზიორი ძიუდოში. ანტალიის ევროპის თასის II პრიზიორი ჭაბუკებში, მსოფლიო ჩემპიონატის III პრიზიორი ჭაბუკებში (გუნდური).

ამირან დარბაისელი – დაბადებული 1999 წელს, საგარეჯოს II საჯარო სკოლის მოსწავლე. საქართველოს ორგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში. სამგზის III პრიზიორი ძიუდოში (ჭაბუკებში), მრავალგზის ვერცხლის მედალოსანი ძიუდოსა და სამბოში. ამდენივეგზის მესამე პრიზიორი სამბოში. საქართველოს მიმდინარე წლის ჩემპიონი ძიუდოში (ჭაბუკები).

გიორგი მღებრიშვილი. დაბადებული 1999 წელს. საქართველოს ჩემპიონი ორგზის II პრიზიორი ძიუდოში უმცროს ასაკში. სამგზის მესამე პრიზიორი ძიუდოში. ორგზის მესამე პრიზიორი სამბოში. უნგრეთის ევროპის თასის გათამაშების III პრიზიორი ჭაბუკებში. მიმდინარე წლის საქართველოს ჩემპიონატის III პრიზიორი ძიუდოში.

ნიკა ბასილაშვილი, დაბადებული 2000 წელს, საგარეჯოს II საჯარო სკოლის მოსწავლე. რესპუბლიკური ტურნირების ჩემპიონი და III პრიზიორი ძიუდოში უმცროს ასაკში. 2016 წლის საქართველოს ჩემპიონატის III პრიზიორი ჭაბუკებში.

ეს არის იმ სპორტსმენთა ჩამონათვალი, რომელთაც თავიანთი სპორტული მიღწევებით ასახელეს თავიანთი მწვრთნელები და ეს მერამდენჯერ დაამტკიცეს გარეჯული ჭიდაობის შესაძლებლობები. ამას კიდევ დაემატება 90-მდე დამწყები და მოზარდი ძიუდოისტი, რომლებიც ძიუდოს სექციაში მწვრთნელების ხელმძღვანელობით ეუფლებიან ჭიდაობის საიდუმლოებებს და უახლოეს ხანებში იტყვიან თავიანთ სიტყვას ქართული სპორტის ისტორიაში.

გ. დაბახიშვილი

მოსაფერებელი

იუბილარი მანდილოსნები

ქალბატონ თამარ გოცირიძეს!

გადღეგრძელებთ თამარ ქალბატონო, მთელი გულით და სულით, რამეთუ თქვენი ლამაზი ცხოვრება უფლის ნებით პატარების აღზრდას დაუკავშირეთ. როგორც მზე განაცხოველებს დედამიწას, ანიჭებს მას სითბოს და სიცოცხლეს, ასევე ბრძენი მოძღვარი გაანათებს და განასპეტაკებს სულს აღსაზრდელისას, სწორედ ასეთ მოძღვრად გსახავთ საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღის პედაგოგი თუ აღსაზრდელი.

ჩვენთვის თქვენ ხართ ქალბატონი, დაუღალავი, ენერგიული, ახალი და საინტერესო იდეების ავტორი და სულისჩამდგმელი. ქალბატონი, რომლის კეთილი თვალი და გული იფარავს ყველა ლამაზ და შინაარსიან საქმეს. ქალბატონი, რომლის გვერდით ვერ მისცემ თავს უფლებას არ იდგე მოწოდების სიმაღლეზე და ბოლოს, ქალბატონი, რომლის ღიმილით დაწყებული ყოველი დილა ბედნიერ დღეში გადაიზრდება ხოლმე.

მთელი კოლექტივი გილოცავთ საიუბილეო თარიღს – დაბადებიდან 70 წლისთავს, ჩვენთვის ძვირფასო ადამიანო!

გულის სიმრთელეს და სულის სიმშვიდეს გისურვებთ მუდამ!

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი გაერთიანება და საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღის კოლექტივი.

ქალბატონ ლამარა გოდერძიშვილს!

დაბადების დღეს ვულოცავთ ამაგდარ, საგარეჯოელი მრავალი თაობის აღმზრდელს, საუკეთესო მეგობარს, თავისი თავმდაბლობითა და კაცთმოყვარეობით სხვათაგან გამორჩეულ პიროვნებას, საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღის ყოფილ გამგეს, ქალბატონ **ლამარა გოდერძიშვილს.**

დიდხანს სიცოცხლეს, წელთა სიმრავლეს, სიხარულს გისურვებთ ძვირფასო ადამიანო!

აიპ "საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება"

ულამაზეს თვეში – აპრილში დაბადებულ ჩემი საბავშვო ბაღის პედაგოგებს: **თამარ გოცირიძეს, ნანა გეთიაშვილს, მანანა მენაბდეს, ნატო კუთხაშვილს,** რომლებიც გაზაფხულის ყვავილებივით ამკობენ და ალამაზებენ საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღს, თავის პროფესიაში უბადლოებს, მომავალი თაობის აღზრდის სფეროში წარმატებულებს და ჩვენთვის სიხარულის მომტანებს, ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ უფლის წყალობით დიდხანს სიცოცხლეს, კვლავაც პროფესიულ წინსვლას და შემართებას საბავშვო ბაღის აღსაზრდელებზე გულწრფელი ზრუნვისთვის.

ნინი სამხთუაშვილი

საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების №1 საბავშვო ბაღის აღსაზრდელი.

ქალი, რომელიც ამშვენებს ჩვენს ქალაქს

ჩვენი თამარი

წლების მანძილზე არაჩვეულებრივი პედაგოგიური ალღოთი უძღვება ბუნებით პედაგოგად დაბადებული მომავალი თაობის აღზრდას. ოჯახშიც და საზოგადოებაში გამორჩეული ქალბატონი თამარ გოცირიძე – სიყვარულით სავსე გულით და ყველაზე საოცრად მზრუნველი. უფრო კი სკოლამდელთა აღსაზრდელებია მისთვის უმთავრესი საზრუნავი. თამარის მიერ აღზრდილ თაობებს ახსოვთ მისი სითბო და სიყვარული, ამიტომაც თითქმის ყოველ ნაბიჯზე ხვდება თავისი ამაგის დაფასებას. აი, ამის გამოა მასწავლებლობა ყველა პროფესიაზე უკეთესი. ქართველი დედის ფენომენი ხომ სრულიად უნიკალურია, უნიკალური არის მისი სიყვარული შვილებისადმი, ქმარ-შვილისადმი. ქმარ-შვილის სიყვარულშიც გამორჩეული. მისი კარგი ქალობაა, რომ არის სამაგალითო მეუღლე, ბებია, დედა, დიასახლისი, ნამდვილი ქალი ლიდერი ოჯახში. მისი ღიმილიანი სახე დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს ადამიანებში.

ყოველ ნაბიჯზე რომ ასხივებს სიკეთეს, ტაქტით და სიკეთით მოძღვრავს პატარებს, მშვენიერი, ნატიფი, კეთილშობილი და კდემამოსილებით გამორჩეული, წლების მანძილზე მუხლჩაუხრელად იღწვის მომავალი თაობის აღსაზრდელად. შესანიშნავ პედაგოგს ადამიანების მიმართ თანადგომისა და თანაგრძნობის ნიჭი და სათნო ღიმილი სრულყოფილებასთან აახლოებს, ამიტომაცაა ყოველთვის საყოველთაო და განსაკუთრებული სიყვარულის ობიექტი, თამარ გოცირიძის სხივჩამდგარი თბილი თვალებიდან ყოველთვის იმზირება ულამაზესი სხივი.

ამიტომაც უყვართ ყველას – უამრავი ბავშვების აღმზრდელი, ესთეტი, შინაგანად ინტელიგენტი, დიდი და ღრმა ფესვი, რომელზეც ლამაზ და ღირსეულ ყლორტებად ამოიზარდნენ მისი შვილები – ნიკოლოზი და ნინო ლასურაშვილები.

ქალბატონო თამარ, თქვენი საიუბილეო წელიწადის დრო შემობრძანდა საქართველოში, მოგეხსენებათ: "უსიყვარულოდ არ არსებობს"... , ვეუდრები უფალს, უმრავლოს თქვენისთანა დიდსულოვანი მანდილოსნები ქართველებს.

პატივისცემით, მეგობარი *ციცინო ქარსაულიძე*

ლია ჭეჩილი

ქალბატონ თამარ გოცირიძეს

დიდი მოწიწებით, სიყვარულით და პატივისცემით მინდა მოგილოცოთ საიუბილეო დღე.

თქვენი წარდგენა ჩემი მხრიდან საინტერესოა, რამეთუ ურთიერთობა, ცხოვრების გარკვეული წლები, ერთმანეთთან საქმიან ურთიერთობას უკავშირდება.

ჯერ კიდევ 1969 წლიდან მუშაობა დაიწყეთ №1 საბავშვო ბაღში აღმზრდელად, მოგეხსენებათ და პრაქტიკაც გვიჩვენებს, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმას თუ რას ვსწავლობთ, რა გზით, როგორ, ან რა მიმართულებით ვაწარმოებთ აღზრდას, არამედ იმასაც თუ ვინაა, როგორი პიროვნული თვისებებისაა თვით აღმზრდელ-მასწავლებელი. ამ მხრივ მისაბაძი ხართ, მაგრამ №1 სკოლამდელი აღზრდის ხელმძღვანელად მუშაობისას უფრო მეტი შემართებით და ორგანიზატორული ნიჭით გამოირჩეოდით.

გულწრფელად მინდა გითხრათ, ნამდვილად მე მჯობდით, რისთვისაც მადლობა.

თქვენი ბაღის გამგედ მუშაობისას ყოველი სამუშაო დღე იყო საქმიანი, საკუთარ თავს არ აძლევდით მოდუნების, უქმად ყოფნის საშუალებას, ერთთავად ახლის ძიებაში იყავით, რისთვისაც ეს გარჯა რესპუბლიკის მაშტაბით, უამრავი წარმატებებისთვის საკადრისი ჯილდოებით აღინიშნებოდა. თავდაუზოგავად იღვაწეთ საბავშვო ბაღის მატერიალურ – ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის.

თქვენს დიდ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით შრომისმოყვარე, საქმისმცოდნე, ძლიერ კოლექტივს: აღმზრდელ-მასწავლებლებს, მუსიკის მასწავლებლებს, ლოგოპედებს, ფსიქოლოგებს, ტექნიკურ პერსონალს, აღმზრდელის თანაშემწეებს და ა.შ.

გარდაცვლილთა საპატივსაცემოდ, მათ წინაშე ქედს ვიხრი მთელი კოლექტივის სახელით.

ბაღის გამგედ დანიშვნისთანავე ყველაფერი გააკეთეთ იმისთვის, რომ თქვენს გვერდით დაგეტოვებინეთ, - "თქვენ რომ სახლში დარჩეთ არ გადარჩებითო" – ასე მომმართეთ. ამით თქვენ გამოამჟღავნეთ დიდი ადამიანობა, კეთილშობილება, ნამდვილი მეგობრობა, თქვენ შეგიძლიათ უდიდესი სიყვარული ადამიანის. ამით იმის თქმა მინდა, რომ თქვენ ხართ კარგი მეუღლე, შესანიშნავი დედა. სამშობლოს აღუზარდეთ სამაგალითო შვილები – ნინო ლასურაშვილი, მედიცინის წარჩინებული მუშაკი, ხოლო ნიკო ლასურაშვილი მოღვაწეობს საზღვარგარეთ, გერმანიაში, ცნობილი ოტოლარინგოლოგი, მსოფლიო მაშტაბით კონსულტანტია, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი რაიონის საამაყო შვილი – დიდი მადლობა ამისთვის.

გვიყვარდეს ერთმანეთი, ვიამაყოთ ჩვენი აღზრდილებით.

გილოცავთ საიუბილეო დღეს.

გისურვებთ სიკეთეს, სიხარულს თქვენს საყვარელ ოჯახთან ერთად ერთად, თქვენს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად.

უახლოესი მეგობრების სახელით :

ლამარა გოდერძიშვილი

რაშია სიყვარულის საიდუმლო?!

„გინდა უყვარდე?! გააჩუქე გული“

დღევანდელ — ცხოვრების ლაბირინთებში ადვილი არ არის გიყვარდეს ადამიანები, ყოველდღიურად უნაწილებდე შენი გულის სითბოს, გიხაროდეს მათი სიკეთე, დაგაფიქროს და თანაგრძნობის ცრემლი მოგიყენოს თვალის უპეებში მოყვასისა თუ მოკეთის ერთმა წაფორხილებამ... მაგრამ... არიან ადამიანები, რომლებიც უძლებენ დროის გამოცდას, სიძნელეებს და სხვათათვის გულშემატკივარნი და თანამგრძნობნი არიან დალხინებისა თუ გაჭირვებისას. სწორედ ასეთია საგარეჯოელი ქალბატონი ციცინო ქარსაულიძე, რომელიც ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის წარდგენას არ საჭიროებს. რატომ?! უბრალოდ და მარტივად – 70 წელია ის საგარეჯოელების გვერდითაა, აქედან 50 წელია ჩვენი ქალაქის პატარებს, საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს ემსახურება. ახლა იმათ შვილიშვილებს ზრდის, რომლებიც ერთ დროს საბავშვო ბაღის კარს ცრემლიანი თვალებით შეაღებდნენ, იქ კი მომღიმარი ციცინო მასწავლებელი ყველაფერს ავიწყებდათ, ყველაფერს ...

დიახ, ქალბატონი ციცინო საგარეჯოელია. 1964 წელს საგარეჯოს პირველი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ სასწავლებელში გააგრძელა. სასწავლებლის დასრულებისთანავე, 1966 წლიდან მუშაობა ახლადგახსნილ რკინიგზის დასახლების №2 საბავშვო ბაღში დაიწყო. სწორედ მუშაობის პირველივე დღეებიდანვე გაახსენდა მისთვის ბავშვობაში მეზობლად მცხოვრები პირველი საშუალო სკოლის დირექტორის მიხეილ მანდარიას ნათქვამი: შენ ისე გიყვარს ბავშვობიდანვე ბავშვები ალბათ, საბავშვო ბაღის აღმზრდელი გამოხვალ. არც შემცდარა ის დიდებული პიროვნება - ბავშვების სიყვარულით დაიწყო ქალბატონმა ციცინომ თავისი პედაგოგიური მოღვაწეობა და დღესაც არ განელებია მის გულს სიყვარულის ცეცხლი. 1971 წლიდან ე.წ. გაღმაუბნის საბავშვო ბაღში განაგრძო მუშაობა, სადაც ყველასთვის უძვირფასესი პიროვნება ცირა კაკუტაშვილი იყო ხელმძღვანელ პოსტზე. მან დიდად დააფასა ახალგაზრდა პედაგოგის ყველა ის თვისება, რაც ბუნებისგან ნიჭად ჰქონდა ნაბოძები – საბავშვო ბაღში ხშირად იმართებოდა კონცერტები, ტარდებოდა ღია მეცადინეობები პედაგოგ ციცინო ქარსაულიძის ჯგუფებში. მსმენელი აღტაცებაში მოჰყავდა პედაგოგის იმ შემოქმედებით მოღვაწეობას, შრომით საქმიანობას, რომელიც საბოლოო სახეს აღსაზრდელთა უნარების გამომზეურებაში ჰპოვებდა... სხვანაირად არც შეეძლო თავად შემოქმედ ქალბატონს...

1996 წლიდან იმავე საბავშვო ბაღის გამგის მოვალეობას ასრულებდა დღეს კი საგარეჯოს №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგია.

უკვალოდ არაფერი იკარგება, ადამიანების მხედველობას არ ეპარება თუნდაც ის პატარა სიყვარული, რასაც პიროვნება გასცემს, შეუმჩნეველს არ ტოვებს იმ გარჯას, რასაც ხალხის, ერის, სამშობლოს წინაშე აკეთებს ადამიანი. ამიტომაცაა, რომ ქალბატონ ციცინოს პედაგოგიური მუშაობის მანძილზე აქვს ბევრი დამსახურებული ჯილდო მიღებული: საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1987 წლის 8 დეკემბრის №476 ბრძანებით მიენიჭა ატესტაციის შედეგად აღმზრდელ-მეთოდისტის წოდება; ამავე სამინისტროს მიერ მასწავლებელთა შემოქმედების რესპუბლიკურ დათვალიერებაში მონაწილეობისათვის ნომინაციაში "მხატვრული შემოქმედება" – არის ექვსგზის ლაურეატი, დაჯილდოებულია დიპლომებით. 2003 წელს თბილის-კახეთის სასკოლო ოლქის სამმართველოს მიერ დაჯილდოდა სიგელით რეგიონულ პედაგოგთა კითხვაში წარმოდგენილი საუკეთესო თემისათვის " ბავშვი და ლექსი". საქართველოს ქალთა საბჭოს გამგეობის მიერ 2014 – 2015 წლის 25 დეკემბერს დაჯილდოვდა ქალთა საბჭოსთან თანამშრომლობისთვის ხელშეწყობისა და ქველმოქმედებისათვის საქართველოს ქალთა საბჭოს თავმჯდომარის, აკადემიკოსი მზექალა შანიძისაგან; მიღებული აქვს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მადლობის ფურცელი საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

წლების მანძილზე მან არაერთი თაობა გამოზარდა და ახლაც ისეთივე შემართებით და ხალისით აგრძელებს მუშაობას საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღში. მისთვის დიდი ბედნიერებაა, როცა გარშემომყოფებს, ადამიანებს, აღსაზრდელებს, მათ მშობლებს ახსოვთ და აფასებენ. თუმცა, ზემოთაც აღვნიშნავთ, თავად ქალბატონ ციცინოს უბრუნდება ის სიყვარული – სიყვარულად, ის სითბო – პატივისცემად, რომელსაც თავად უშურველად გასცემს. ძნელია ყველას მიაქციო ყურადღება, რთულია ბავშვებთან ურთიერთობა, თანაც როცა ჯგუფში 20-25 აღსაზრდელია, მაგრამ ის მაინც ახერხებს არ დაკარგოს ზომიერება, მოეფეროს, მოესიყვარულოს ბავშვს. და თუ როგორ ახერხებს ის ამას, პასუხი ერთი აქვს – თუ გინდა, რომ ბავშვს უყვარდე, უნდა აჩუქო შენი გული, გაუნაწილო სიყვარული, რადგან უსიყვარულოდ არ შეუქმნია უფალს ეს ვეებერთელა სამყარო ... სამაგიეროდ კი ცხოვრებას მიხალისებს, მილამაზებს და მიადვილებს ბავშვების, ჩემი აღსაზრდელების და უკვე აღზრდილების სიყვარული და პატივისცემა, მათ მიერ მორთმეული ყვავილები ნიშანია დიდი სიყვარულისა ...

ქალბატონ ციცინოს საგარეჯოელების სიყვარულთან ერთად საკუთარი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები უხარებენ და უხალისებენ გულს. ოთხი შვილიშვილი: თეკლა, ლელა, მირანდა, ბაჩანა, შვილთაშვილები ლიზი და დაჩი გეთიაშვილები, სულ ახლახანს უკრაინაში დაბადებული შვილთაშვილი – ლაზარე გიორგაძე. სიკეთე და სიხარული მათ.

გილოცავთ დაბადებიდან 70 წლისთავის შესრულებას ქალბატონო ციცინო და კვლავაც ნაყოფიერ შრომით საქმიანობას გისურვებთ!

ჩვენს გვერდით
ჩვენი თანამოქალაქეები

როცა ასეთი სიყვარულია...
47 – ცოტა არაა

სკოლის დამთავრებამდე ჰქონდა მოფიქრებული საყვარელი პროფესია – ისტორიკოსობა. საგარეჯოს მეორე საშუალო სკოლის ერთ-ერთ წარჩინებულ მოსწავლეს განსაკუთრებული ინტერესი საქართველოს ისტორიის მიმართ ჰქონდა. ტკივილამდე უყვარდა მისი ავბედითი მატიანის ფურცლების გადაკითხვა, თავისდაუნებურად იმახსოვრებდა თარიღებს, ისტორიულ მოვლენებს, აანალიზებდა, მეხსიერების სკივრში საგანძურად – ძვირფას მარგალიტებად ალაგებდა. სწავლის გაგრძელება მაშინდელ ალ. პუშკინის (ახლა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტი) სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე გადაწყვიტა. პირველ წელს ერთი ქულა დააკლდა. მაშინ, გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ყველაზე პრესტიჟულ პროფესიად ისტორიკოსობა ითვლებოდა, რადგან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რაიკომის მდივნებიც პროფესიით ისტორიკოსები იყვნენ. (იქნებ, სწორედ მათ უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი ტაძრების, მონასტრების, საერთოდ ისტორიულ-კულტურული ფასეულობების დანგრევისგან გადარჩენასაც ...)

შრომითი სტაჟისათვის კი ლია ურდულაშვილმა მუშაობა საქალაქო ბიბლიოთეკაში დაიწყო. მეორე წელსაც - 1970 წლის გამოცდებზე გასულს კვლავ ერთი ქულა დააკლდა და ინსტიტუტის მაშინდელმა რექტორმა ნათელა ვასაძემ სხვა ფაკულტეტზე გადაატანინა საბუთები იმ პირობით, თუ ხუთებზე დაამთავრებდა სემესტრს, ისტორიულზე გადმოიყვანდა. ეს ფაკულტეტი კი ბიბლიოთეკამცოდნეობა – ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტი იყო. პირველი სემესტრი კი არა, ლიამ ხუთებზე დაამთავრა აღნიშნული ფაკულტეტის სრული კურსი და ახლა, 47 წლის სამუშაო სტაჟის მქონე ღიმილით იხსენებს: - მიყვარდა წიგნი და მოვხვდი იქ, სადაც უამრავზე უამრავი წიგნი იყო...

და ვინ იცის, ახლა, ალბათ ათი ათასობით წიგნია მის ხელში გავლილი. ვინ იცის, რამდენი სკოლის მოსწავლეს, სტუდენტს, მასწავლებელს, სპეციალისტს დახმარებია მისთვის სასურველი წიგნების მოძიებაში, სხვადასხვა დარგში თემის დასამუშავებელი გზების ძიებაში, გაუადვილებია მისთვის შრომა. დიახ, ბიბლიოგრაფობა ადვილი პროფესია არ არის. ყველა ავტორს, ყველა წიგნს ზედმიწევნით კარგად უნდა იცნობდეს, ერკვეოდეს ამა თუ იმ დისციპლინაში, რომ შემდეგ მაძიებელს, მკითხველს გაუადვილოს, სწორად შეურჩიოს ლიტერატურა. იქნებ გაუკვირდეს კიდეც მავანს, მაგრამ ლიამ ისეთივე კრიტერიუმებით ჩააბარა გამოცდა უმაღლეს მათემატიკაში, როგორც მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტები აბარებდნენ. დიახ, ბიბლიოგრაფი ყველა საგანს, დისციპლინას ისე უნდა დაუფლებოდა, რომ მასთან მისულ მკითხველს, ნაშრომის დასაწერად სწორი გეზი აეღო ...

შეიძლება უხეშად ნათქვამი იყოს, მაგრამ ბიბლიოგრაფის პროფესია რატომღაც კომპიუტერმა "შეითვისა" – მწირი ინფორმაციით. თუმცა, როგორც თავად საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფი ლია ურდულაშვილი ამბობს : - ახალგაზრდობისთვის დღეს ყველაზე პრაქტიკული კომპიუტერია ზოგადი ინფორმაციისთვის, მაგრამ ჩვენთან, ბიბლიოთეკაში მოდიან ახალგაზრდები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, გვთხოვენ დავეხმაროთ იმ წიგნების შერჩევაში, რომელიც მათ სიღრმისეულად შეასწავლით მათ მიერ შერჩეულ თემას. ასე, რომ ინტერნეტში მოძიებული მასალაც კარგია, გამოსადეგია, მაგრამ წიგნი სულ სხვა სამსახურს უწევს ცოდნის მაძიებელს. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ გვიხარია, როცა ჩვენთან ახალგაზრდა მოდის, დაინტერესებული, ცოდნის შესაძენად მოტივირებული. მინდა სიამაყით გითხრათ, რომ ჩვენთან დამუშავებული თემები ყოველთვის იმარჯვებს, მის ავტორს ბევრად გამოარჩევს სხვებისგან, რადგან მან წიგნით, წიგნთან მეგობრობით შეძლო მისთვის საინტერესო სამყაროში გასვლა ...

მართლაც, ვინ მოთვლის, რამდენ ადამიანთან ერთად უზეიმია ქალბატონ ლიას გამარჯვებები, რომელთაც პირველი და გულმხურვალე გულშემატკივარიც სწორედ თავადაა. ოთხ ათეულ წელზე მეტია თვალყურს ვადევნებთ მის საქმიანობას, რომელსაც საფუძვლად დიდი სიყვარული, ერთგულება უდევს. ეს მისმა ოჯახის წევრებმაც კარგად იციან, მისი ვაჟის მეგობრებმაც და სამივე შვილიშვილმა – უფროსმა სოსიკომ, მეექვსეკლასელმა, მოჭადრაკე ნიკამ და პირველკლასელმა უჩამაც. სამივე კარგად იცნობს ბებიის სამუშაოს, ხშირად სტუმრობენ და მისი რჩევით წიგნებსაც კითხულობენ.

ქართველები ვამბობთ – 15 აპრილი სიყვარულის დღეაო. არ ვიცი, ვინ როგორ სიყვარულს ანიჭებს უპირატესობას, მაგრამ როცა ადამიანს ერთგულად, შეუცვლელად შეუძლია 47 წლის განმავლობაში ერთსა და იმავე სამუშაოს ემსახუროს დაუღალავად, მოუბეზრებლად და დიდი რუდუნებით, ამას მართლაც რომ სიყვარული ჰქვია და თანაც ... ძალიან დიდი.

გაძლეგის გმირეგი
ქუჩაში დადის ქალი

არასოდეს უფიქრია ისეთ სიბერეზე, როგორიც ახლა აქვს. თავის თავს ყოველთვის ბედნიერ მოხუცებულად წარმოიდგენდა ხოლმე, რომელსაც გვერდით სიმპატიური მოხუცი მეუღლე ედგა და მათ თვალწინ... შვილიშვილები, შვილთაშვილები ბედნიერი ცხოვრებით ცხოვრობდნენ...

იროდი მარიხაშვილმა სიყვარულით შეირთო საგარეჯოელი მზია ქარსაულიძე. მზია მაშინ 16-იოდე წლის იყო. ლამაზი, ცოცხალი, თბილი გოგონა მხოლოდ ოჯახის წევრებს, ახლობლებს არ უყვარდათ ... მალე სამი შვილის დედა გახდა – მანანა, ლია, დათო დედ-მამის გულის გასახარად იზრდებოდნენ და ახლაგაზრდა ცოლ-ქმარს მათი ნათელი მომავლისთვის გეგმებიც წინდაწინ ჰქონდა დაწყობილი ... ასწავლეს, ოჯახებიც შექმნეს ... უკრაინაში უწევდათ მანანას და ლიას ოჯახებით ცხოვრება, ასე გამოვიდა. უმცა ქალბატონი მზია მათ სიშორეს სრულებით ვერ გრძნობდა - ფრთაშესხმული ბედნიერი დედა და ბებია ხშირად იქით აკითხავდა და საქართველოდან ჩატანილი ხილის სურნელით ახარებდა თავის პატარა შვილიშვილებს. სიძეები – გელა მარიამჯვრიდან და ნოდარი – ჩაილურიდან – ორივე სამხედრო მოსამსახურე. პირველი სიმწარე ქალბატონმა მზიამ ლიას და ნოდარის წლინახევრის შვილის დაღუპვით ნახა. შემდეგ 1987 წელს მეუღლე გარდაეცვალა. კაცი, რომელიც მხოლოდ ცოლ-შვილის ბედნიერებაზე, მათი გახარებისთვის შრომობდა და ცხოვრობდა. შემდეგ იყო სამაჩაბლოს და აფხაზეთის ომები, სადაც ნოდარიც მონაწილეობდა.

ქალბატონი მზია ათეული წლები საგარეჯოს "სილამაზის სალონში" კოსმეტოლოგად მუშაობდა. მის მიერ დამზადებული მალამოებით უამრავი ქალი ლამაზდებოდა. მართალია, ახლაც ამზადებს უძვირფასეს მალამოებს, მაგრამ ის ხალისი და შემართება აღარ აქვს – 2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული შვილიშვილის – რეზო მამისაშვილისკენ ხშირად გაურბის გონება. რეზომ სამუდამო განსასვენებელი მარიამჯვარში, მამა-პაპათა ძვალშესალაგში ჰპოვა... ფიქრით ხშირად მასთან არის, თითქოს ესაუბრება, ეფერება თავის კალთაში გამოზრდილ, ნაფერებ ვაჟკაცს... შემდეგ ნოდარი და გელა ახსენდება. ყოფილი საბჭოთა კავშირის დიდჩინოსანი სამხედრო პირები, რომლებმაც შემდეგ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არაერთი თაობა აღზარდეს. ნოდარის "ერთი ნაბიჯიდა" აკლდა გენერლობამდე, მაგრამ წლინახევრის წინ ზეციურ საქართველოს შეუერთდა, ამაგდაუფასებელი, აფხაზეთის და სამაჩაბლოს ომების ცოცხალი მატიანე. გელა კი შვილის დარდს გადაჰყვა და მშვიდად განისვენებს ომგამოვლილი, გმირი შვილის გვერდით.

დათო მშობლების ერთადერთი ვაჟი 47 წლის ასაკში გარდაიცვალა.

დღეს ორი ცხოვრებით ცხოვრობს ქალბატონი მზია საგარეჯოში. ერთი ცხოვრება თავისი ოჯახის წევრებისთვის აქვს მიძღვნილი – ეკლესიასა და სახლში მათი სულების საოხად ქრისტეს ჯვარცმასთან სანთელ-საკმეველს არ აქრობს, მეორე ცხოვრებით კი, მთელი გულისყურით შვილებისა და შვილიშვილების, შვილთაშვილებისკენ აქვს მიპყრობილი. სულის სიმშვიდეს მხოლოდ მაშინ პოვებს, ისიც წამიერად, როცა მეუღლის სურათს შეხედავს და მას ჩააბარებს შვილიშვილებს, შვილსა და სიძეებს, შემდეგ ტელეფონით შვილებს, შვილიშვილებს შეეხმიანება და ასე გაჰყავს ეს წუთისოფელი... წუთისოფელი, რომელმაც ახალგაზრდობაში ბედნიერი ქალობა, მეუღლეობა, დედობა, ბებიობა, სიდედრობა არგუნა ... ახლა კი ჩვენთვის, მისი თანამოქალაქეებისათვის მაგალითად გამხდარა იმისა, თუ როგორ გავუძლოთ ჭირს, ვიყოთ როგორც "ქვითკირი", რამეთუ სულეთში გადასულებსაც და ამ სამზეოს ქვეშ მყოფთაც ისევ ჩვენი, უფროსი თაობის მხარში დგომა და იმედი სჭირდება, იმედი იმისა, რომ ადამიანი ყველაფერს უძლებს ...

დიახ, ჩვენს ქუჩებში იშვიათად, მაგრამ მაინც დადის ჩვენი დროის გაძლების გმირი, ქალბატონი მზია ქარსაულიძე, რომელსაც ვერავითარმა ტკივილმა ვერ დაუკარგა თანაქალაქელების მიმართ სიყვარული და სითბო, ყურადღება და პატივისცემა ... ისევ მშვიდი, აუღელვებელი ხმით საუბრობს, ტკბილად მოგიკითხავთ და არასოდეს ახსენებს თავის დიდ ტკივილს, რომელსაც გულით დაატარებს ... იროდის, დათოს, რეზოს, გელას, ნოდარის ნაფეხურებს კი მისი ცრემლები ჩვენგან დაუნახავად ასველებს.

გამძლეობა და დიდხანს სიცოცხლე მას ...

სპორტი

რიგის საერთაშორისო ტურნირის საგარეჯოელი ჩემპიონი

აიპ " საგარეჯოს სპორტგაერთიანების" მწვრთნელ რამაზ ასაბაშვილის პერსპექტიული მოსწავლის – გიორგი პასიკაშვილის სახელი კარგა ხანია ცნობილია ქვეყნის თავისუფალი ჭიდაობის წრეებში. ახალგაზრდებში საგარეჯოს ჩემპიონი და პრიზიორი, ევროპის ჩემპიონატების მონაწილე ჩვენებური მოჭიდავე, მიუხედავად ბოლომდე მოუშუშებელი მხარის ტრავმისა, კვლავ შემართებით გამოდის ხალიჩაზე და ახალ-ახალ წარმატებებს იმკის. საქართველოს ჩემპიონატზე მოპოვებული ბრინჯაოს შემდეგ, მან მონაწილეობა მიიღო 26-27 მარტს რიგაში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირში 23 წლამდელთა შორის, რომელიც დაუმარცხებლად განვლო ბოლომდე, ფინალში დაამარცხა საფრანგეთის სახელით მოასპარეზე ჩეჩენი მუხტარიკი და ჩემპიონის ნანატრი ოქროს მედალი დაისაკუთრა.

თავისუფალი ჭიდაობა
მარნეულის საერთაშორისო ტურნირზე

1 – 3 აპრილს ქალაქ მარნეულში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც სხვა რაიონის სპორტსმენებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ აიპ "საგარეჯოს სპორტგაერთიანების" თავისუფალი ჭიდაობის სექციის (მწვრთნელები რამაზ ასაბაშვილი, დათო ბაბუნიძე) აღსაზრდელები. მათგან პირველი ადგილები დაიკავეს გიგი ქურხულმა (42 კგ. წონით კატეგორია, დაბადებული 2003 წ.), ფირუზ ქვლივიძემ (47 კგ. წონით კატეგორია, დაბადებული 2002 წ.), დავით კუჭუაშვილმა (59 კგ. წონით კატეგორია, დაბადებული 2003 წ.), მეორე ადგილი დაიკავა თორნიკე თულაშვილმა (42 კგ. წონით კატეგორია, დაბადებული 2003 წ.), მესამე ადგილები – შალვა გულისაშვილმა (29 კგ. წონით კატეგორია, დაბადებული 2005 წ.) და გიორგი ბადიევმა (42 კგ. წონით კატეგორია, დაბადებული 2003 წ.).

ვიი არაგველის სახელოგის პრიზზე

მარტის ბოლოს დუშეთის რაიონის სოფელ არაგვისპირში ჩატარებულ 300 არაგველის სახელობის ტურნირში ბათუმის, ჭიათურის, მცხეთის, მარნეულის, ყვარელის, ზუგდიდის, დუშეთის 2004 – 2005 წლებში დაბადებულ ნორჩ მოკრივეთა შორის აიპ "საგარეჯოს სპორტგაერთიანების" კრივის სექციის (მწვრთნელი ზურაბ იმნაძე) აღსაზრდელებიც მონაწილეობდნენ.

კრივი

გარეჯელმა მოკრივეებმა ამ ტურნირში 1 ოქროს - დავით ბექაური (34 კგ. წონით კატეგორია, დაბადებული 2004 წ.) და სამი ვერცხლის – გიორგი დეკანოზიშვილი (65 კგ. წონით კატეგორია, დაბადებული 2004 წ.), თემურ ჭიაბერაშვილი (36 კგ. წონით კატეგორია, დაბადებული 2004 წ.), ვალერი გულიკაშვილი (63 კგ. წონით კატეგორია, დაბადებული 2004 წ.) მედლები მოიპოვეს.

გ. დაგახიშვილი

შეჭირვებული
სპარსეთი
მიჩურინის ვაშლი
ქართული ეროვნული საჭმელი
მექსიკური ფული
თანხის დადება რულეტკაზე
რომაელთა ზევსი
ამერიკის I პრეზიდენტი
... ბლერი
ქართველთა განმანათლებელი
ინდიელთა ტომი
შესასვლელი
იოანე ...
ქვეყანა ევროპაში
ჯულიეტა ...
მულტფილმის ნიანგი
ადამიანის სხეულის ნაწილი
აგული ერისთავის ცოლი
შვარცენეგერის სახელი
ლეგენდა
ძველგერმანელთა ღმერთი
პოლიცია საფრანგეთში
კლდოვანი ადგილი
ხევსურული სახელი
რძის ნაწარმი
არგენტინელი ფეხბურთელი
ქალაქის მმართველობა
გრაფი მონტე კრისტო
ყურე
საცხობი
ერთ-ერთი მუზა
მკერავი
გადასახდელი
მწერი
ფრანგული ავტომობილი
ერთ-ერთი ვარსკვლავი
ერთ-ერთი მთავარანგელოზი
ეგვიპტური ღვთაება
წილი
კარაპს ...
... მანჯგალაძე
... ქექია
გერმანელი ფეხბურთელი



სუდოკუ

მარტივი

3		9		8			2	
		6		4	2			5
		1			9		7	8
9		4	3		7			1
		2				9		
7			9		1	2		6
1	2		8			7		
6			2	1		4		
	9			7		5		2

საშუალო

					5		9	3
	8	5	3	6				
7					2			6
	4	8	7			9		
		7		5		2		
		2			6	7	3	
2			5					9
				1	9	5	7	
5	7		6					

რთული

	7				3			5
		6		1	7	9		
							1	
	6	1	9					2
		4		5		8		
9					2	6	4	
	8							
		9	7	2		1		
3			5				2	

1	4	3	8	6	9	2	5	7
2	5	6	1	7	4	3	8	9
8	7	9	3	2	5	4	6	1
6	2	4	9	8	7	5	1	3
3	8	1	2	5	6	9	7	4
7	9	5	4	3	1	8	2	6
5	1	2	6	4	3	7	9	8
4	6	7	5	9	8	1	3	2
9	3	8	7	1	2	6	4	5

წინა ნომერში

გამოქვეყნებული

სუდოკუს

პასუხები

6	7	4	1	3	2	9	8	5
3	9	5	7	8	6	4	2	1
2	1	8	4	5	9	7	3	6
5	6	2	3	9	1	8	7	4
8	4	9	2	7	5	6	1	3
1	3	7	6	4	8	2	5	9
7	5	3	9	2	4	1	6	8
9	2	1	8	6	3	5	4	7
4	8	6	5	1	7	3	9	2

1	7	8	4	9	3	2	6	5
5	3	6	2	1	7	9	8	4
4	9	2	6	8	5	3	1	7
8	6	1	9	3	4	5	7	2
7	2	4	1	5	6	8	3	9
9	5	3	8	7	2	6	4	1
2	8	5	3	4	1	7	9	6
6	4	9	7	2	8	1	5	3
3	1	7	5	6	9	4	2	8

ჩვენი თანამოქალაქენი

„ვეზოგველო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო“

მამა-პაპური გამონათქვამია: „ცუდი მეზობლის ჭირიმე და კარგი რაღა იქნებაო.“ დიდება წინაპართა ხსოვნას ამ ბრძნული გამონათქვამისათვის. სწორედ ამ ნათქვამს ვეთანხმები და ჩემი მეზობლებით ვსულდგმულობ პირადად მე. ძვირფასო მკითხველნო, მე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება ჩემი კარის ერთ-ერთ ახალგაზრდა მეზობელზე, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ახლობლების, მეგობრების და მეზობლების წინაშე. თბილი და მოსიყვარულე ოჯახის პატრონი, ზედმიწევნით კეთილი ადამიანი.უფალს მისთვის არაფერი დაუშურებია და ყველანაირი ადამიანური თვისებები ჩაუნერგავს. ეს საგარეჯოელი 9 აპრილის ქუჩაზე მცხოვრები სოსო პაპუაშვილია. ყოველგვარი სიკეთით დაჯილდოებული, სულით სპეტაკი, მისი საოცარი თავმდაბლობა ერთიათად ამაღლებს ყველას თვალში, შინაგანად ინტელიგენტი, ერუდირებული და გულისხმიერი ადამიანი, მოსიყვარულე ძმა ორი დის, მზრუნველი მეუღლე და განსაკუთრებული მამა შვილების მიმართ, საიმედო დასაყრდენი მეზობლებისათვის. უსასრულოდ შეიძლება მის ღირსებებზე საუბარი. სწორედ ახლობლებსა და მეზობლებს შორის ურთიერთდახმარებასა და პატივისცემაში გამოიხატება მისი ყოველდღიური მოქმედება. იგი ლხინს გვიასკეცებს და ჭირს გვიმსუბუქებს თავისი თანადგომით და ადამიანობით. მეზობლები ყოველთვის ვამაყობთ მისი მეზობლობით. მეზობლებისადმი უანგარო ერთგულება არის მისი ყოველდღიური ცხოვრების მამოძრავებელი ძალა, რომელიც გულწრფელად იზიარებს გარშემომყოფთა სატკივარს და გასაჭირს, ძალ-ღონეს არ ზოგავს ყველას დასახმარებლად.

უმრავლოს უფალმა ასეთი ვაჟკაცები საქართველოს.

ციცინო ქარსაულიძე

კულტურა

კარგია, როცა მეგობრებს იძენ ...

– „კაუნასობა” ისეთივე საყვარელი სანახაობრივი ზეიმია ლიტვაში, როგორც “თბილისობა” ჩვენთვის, ქართველებისთვის, - მეუბნება საგარეჯოს სახალხო თეატრის მსახიობი პაატა ქვლივიძე, - ეს არის ულამაზესი ქალაქის ზეიმი, სადაც მიწვეული ჰყავთ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები. ერთი ასეთი მიწვევა ჩვენ, საგარეჯოელებსაც გვქონდა. ჩვენი მასპინძელი იყო კაუნასის სახალხო თეატრის რეჟისორი და ლიტველთათვის საყვარელი ტელესერიალების გმირი ქალბატონი ჰანა სუმილაიტე. დონისძიებებზე, ამ შემთხვევაში მიწვეული ვიყავით, როგორც არაპროფესიონალი სახალხო თეატრის მსახიობები.

საგარეჯოს სახალხო თეატრის რეჟისორმა ნიკა საბაშვილმა სპექტაკლში “მე, შენ, ის” სამი საგარეჯოელი მსახიობი – მე, მიხეილ ხოკერაშვილი და ირაკლი ლიპარტელიანი მიგვიწვია. პიესაში სალაპარაკო ფრაზები ძალზე ძუნწად და იშვიათადაა გამოყენებული, ისიც ინგლისურ ენაზე, მაგრამ ყველასთვის გასაგებია. ჩვენ ორჯერ წარვდექით მაყურებლის წინაშე,ერთხელ კაუნასის სახალხო თეატრის და მეორედ ერთ-ერთი რაიონის თეატრის სცენაზე. მაყურებელმა გულთბილად მიგვიღო, სპექტაკლზე 40-ჯერ მოიხსნა ტაში, დარბაზში მოსული 300 მაყურებელი აღფრთოვანებული იყო ჩვენი თამაშით... ჩვენ შევიძინეთ ახალი მეგობრები, ახალი მაყურებელი, რაც ძალიან კარგია...

პაატა ქვლივიძე და მისი მეგობრები მართლაც რომ აღფრთოვანებულები არიან კაუნასელი მასპინძლების სტუმართმოყვარეობით, ლიტველი მაყურებლების, მათი დამხვედრი მასპინძლების გულისხმიერებითა და სტუმართმოყვარეობით.

ანეტა უსტიაშვილი



მოულოდნელმა ტელეფონის ზარმა ადგილზე გაგვჭინა ... ანეტა ბაბო დაიღუპაო.

ბებია, რომელიც მთელი სიცოცხლე გვეამაყებოდა თავისი კულტურით, სიდარბაისლით, სიკეთით, პატიოსნებით, სიმპატიური გარეგნობით... უკვე აღარ გვყავდა.

მიუხედავად წელთა სიმრავლისა (95), რომელიც მხრებით დაგჭონდა, ასაკს მალავდი, რადგან “არა თქვან – რადაროს ამის სიცოცხლეაო”. არადა, აბსოლუტური გონება, მხედველობა და ჯანმრთელობა გჭონდა. ერთი შეხედვით სასიკვდილო არაფერი გჭირდა. ყველანაირი საქმის კეთება შეგეძლო, რაც კი შეიძლება ოჯახში დიასახლისს დაეკისროს. მხოლოდ სახსრები გაწუხებდა და წნევა, რომელიც ამ შვიდი წლის უკან შვილის მოულოდნელმა გარდაცვალებამ გამოიწვია.

ბავშვივით კეთილი გული და სათნო ღიმილი გქონდა, ერთი შეხვედრით ყველას სიყვარულს და თანადგომას იმსახურებდი. აკი შენი დიდი სამეზობლოც არასოდეს გტოვებდა უყურადღებოდ. დღის რაღაც მონაკვეთში მაინც გამონახავდნენ დროს შენთვის რომ ესიამოვნებინათ.

მთელი შენი სიცოცხლე შრომის ფერხულში იყავი ჩაბმული.

ომის წლებში ზურგში შრომითი მამაცობისთვის დაჯილდოებული იყავი ოქროს მედლით.

შრომის ასპარეზზე, როგორც პარტიული და მოწინავე მეფრინველე, რაიონის ხელმძღვანელობისგან მეტად დაფასებული და პრივილეგირებული მუშაკი, საქართველოს კომპარტიის რამდენიმე ყრილობის დელეგატი და რაიონის დეპიტატი იყავი. შენი რეკომენდაციით არაერთმა საგარეჯოელმა ახალგაზრდამ შეაღო უმაღლესი სასწავლებლის კარი.

გამოსათხოვარი

შენ ჩვენი საუნჯე იყავი, ბერმუხა, ცოცხალი მატიანე, ომში დაღუპულის მეუღლე, მრავალჭირ-ვარამ გამოვლილი, თითქოს თვითონ დასახმარებელი, ყველას დამპურებელი.

19 წლისამ დაკარგე მეუღლე და ორი ობოლი გაზარდე. შეგეძლო სახლისთვის ჭერი აგემაღლებინა, მაგრამ შენი მეუღლის სახელისა და ხსოვნის უკვდავსაყოფად იმ სახით შემოინახე, როგორიც დაგიტოვა. ვინ არ იცნობდა დავით უსტიაშვილს. იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, ვინც ზეპირად იცოდა “ვეფხისტყაოსანი”. 40-იანი წლების ხელმძღვანელობა აფასებდა როგორც ქართველი ვაჟკაცისათვის ადამიანობის უნაკლო თვისებების და უზადო გარეგნობის მქონე პიროვნებას, რომელმაც 24 წლის ასაკში, მიუხედავად იმისა, რომ მას, როგორც მეტყევე-ინჟინერს ჯავშანი იცავდა, მაინც წავიდა ომში და სამშობლოს სადარაჯოზე დადგა. დათა პაპაზე ხომ ლეგენდები დადიოდა ... და შენც გეამაყებოდა.

უფალმა ნათელი დაგიმკვიდროთ ომისა და შრომის გმირების, ამ ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილო ადამიანებო.

ანეტა ბაბო, შენ ხომ სიკვდილის წინა დღეს შენს ეზოში საკუთარი ხელით 4 ძირი ნამყენი ვაზი დარგე. იოანეს სახარების მიხედვით ვაზი თავად ქრისტეა. ქართველთა წარმოდგენით – ეს არის სიცოცხლის ხე.

თითქოს სიმბოლური აღმოჩნდა... ამით შენ ყველაფერი თქვი ...

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა ჩვენთვის ძალიან საყვარელო, ყოველთვის მზრუნველო და დაუვიწყარო, ანეტა ბაბო.

შვილიშვილები

დარიკო ჩეკურაშვილი



დღეს, უკვე მერამდენედ, ჩვენს სკოლაში გლოვის ზარმა ჩამოკრა. ამ კედლებიდან, უკვე მერამდენედ, უკანასკნელ გზაზე ვაცილებთ, უდიდესი მწუხარებით და გულისტკივილით ვემშვიდობებით კიდევ ერთ დიდებულ ადამიანს, ღირსეულ ქალსა და დედას, შესანიშნავ პედაგოგს, ყველას გულშემატკივარსა და მეგობარს, ჩვენი სკოლის ლაზათსა და კოლორიტს დარიკო ჩეკურაშვილს – ყველასათვის საყვარელ დარიკო მასწავლებელს.

ძალიან ძნელია წარსულში ილაპარაკო ადამიანზე, რომლის გვერდითაც ოთხ ათეულ წელზე მეტი გაგიტარებია, ვინც სულ ორიოდე დღის წინ ჩვენ გვერდით ფუსფუსებდა და საყვარელ საქმეს უდიდესი რუდუნებითა და პასუხისმგებლობით აკეთებდა...

შენ საოცარი ადამიანი იყავი,ჩვენო დარიკო! სიცოცხლითა და ახალგაზრდული ენერგიით სავსე, მუდამ საქმისთვის შემართული, დაუზარელი, შრომისმოყვარე, ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი და გულშემატკივარი.

შემოხვიდოდი სკოლაში და თან სიცოცხლესა და ხალისს შემოიყოლებდი.

ასეთ უცაბედ და უდროო სიკვდილს შენთან რა ხელი ჰქონდა, მხოლოდ მადლისათვის, მხოლოდ კეთილი საქმეებისათვის გაჩენილო, უამრავი ახალგაზრდის დამფრთიანებელო, დიდო ქალო, დიდო ადამიანო, შეუცვლელო და უდალატო მეგობარო.

მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მასწავლებელი იყავი, ჩვენო დარიკო, ამიტომაც გამორჩეულად უყვარდი ყველას – დიდსა თუ პატარას. თავადაც ხომ დიდი სიყვარულით სავსე გული გქონდა და ამ სიყვარულს უშურველად უნაწილებდი ყველას.

მოულოდნელად და ნაადრევად დააობლე შენი დიდი და ბედნიერი ოჯახი, საყვარელი მამის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი ჯერაც რომ არ განელებიათ. როგორც პოეტს უთქვამს: “შვილის გაჩენა არის გმირობა, მაგრამ დედობა არის მთავარი”. შენ ის გმირი ხარ, დედაბოძად რომ შეუდექი ფრთამოტეხილ ოჯახს, უდრტვინველად და ღირსეულად რომ ზიდე დაობლებული ოჯახის მძიმე, მაგრამ საპატიო ტვირთი.

ბედნიერი ქალი და ბედნიერი დედა ხარ. შესანიშნავი შვილების გამზრდელი, მრავალი თაობის აღმზრდელი, ამაყობდი უსაყვარლესი შვილიშვილებით. ბედნიერი და ვალმოხდილი მიდიხარ იმქვეყნად. თან დიდი სიყვარული და გულწრფელი ცრემლები მიგყვება თავად ყველას ლაზათის მიმდევნებელო. იქ კი შენს ღირსეულ მეუღლესთან ერთად შენი მშობლები, ძმები და სხვა უახლოესი და უსაყვარლესი ადამიანები დაგხვდებიან.

გაზაფხული მოდის და უამრავი საქმე დაგრჩა მოსამთავრებელი, ჩვენო დარიკო. ძალიან დააკლდები შენს კოპწია სახლ-კარს, შენს ნათუოევ სალომეს, შენს საყვარელ შვილებსა და შვილიშვილებს, II საშუალო სკოლას, შენს საგარეჯოს და ყველას, ვისაც ასე გვიყვარდი და გვეძვირფასებოდი. ამქვეყნად კი სახელი გრჩება, ამაგიანო, სახელი, რომელსაც დავიწყება არ უწერია.

გემშვიდობებით დიდი სიყვარულითა და გულისტკივილით.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული და დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

საგარეჯოს №2 საჯარო სკოლის პედკოლექტივი

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru